სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების წხვაზედა...

ტაძარი

1991
შაბათი
10
აგვისტო
№95 (10488)
ფასი 5 კ ა ბ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1936 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მწერალთა ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე უწოდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა თბილისის მახლობლად დიდგორის ველზე მუსლიმანთა კოალიციის წინააღმდეგ ომში ქართველთა მიერ მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებას.

მიმდინარე წლის 12 აგვისტოს სრულდება 870 წელი დიდგორის ბრძოლიდან.

ცნობილია, რომ დავით მეოთხე აღმაშენებელმა, საქართველოს მეფემ (1089-1125 წლები) მემკვიდრეობად მიიღო თურქსელჩუკებისაგან დარბეული ჭვეყანა. ქალაქები და სოფლები დაცარიელებული იყო, მოსახლეობა მთებში გახიზნული.

სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციას აფერხებდნენ დიდგვარიანი საერო და სასულიერო ფეოდალები, რის გამოც ძნელდებოდა ერთიანი ძალით მტრის წინააღმდეგ ბრძოლა.

ქვეყნის ამგვარი, უმძიმესი

დიდგორის ბრძოლის 870 წლისთავის გამო

„ძლევაი საკვირველი“

ვითარებიდან გამოყვანა, მისი მიწა-წყლიდან მტრების განდევნა, ქვეყნის მოშენება წილად ხვდა დიდ სახელმწიფო მოღვაწეს დავით მეოთხეს, რომელსაც ხალხმა აღმაშენებელი უწოდა.

ქართული მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის, ძლიერი და ულმობელი ოკუპანტების გასანადგურებლად დავით აღმაშენებელმა უპირველესად სამხედრო რეფორმა გაატარა, ქართული ლაშქარი ყივჩაყეთიდან გადმოსახლებული ოჯახების მეომრებითაც გააძლიერა, ბოლო ეოუღო დიდგვარიანთა ურჩობას და მეფის ხელისუფლება განამტკიცა.

დავითმა ჯერ მცირე რაზმებით შეავიწროვა თურქ-სელჩუკები, ერთი-მეორეზე მიყოლებით ფეხი ამოუკვეთა მათ ქართლის სიმაგრეებიდან, თურქების სულთანს შეუწყვიტა ხარკი, შეუდგა კახეთ-ჰერეთის შემოერთებასაც.

სულთანმა და მუსლიმანების სამფლობელოებმა შეკრეს კავშირი და მრავალრიცხოვანი კოალიციური არმია გამოგზავნეს დავითის წინააღმდეგ, რომელიც დიდგორის მიდამოებში დაბანაკდა. მტრის ჯარში სამასი ათასი მეომარი ირიცხებოდა (ი. ჯავახიშვილი). ზოგიერთი ცნობით, მუსლიმანურ-კოალიციას ნახევარმილიონზე მეტი მეომარი ჰყავდა.

დავითმა მტრის ასეთ უზარმაზარ არმიას ორმოცდათექვსმეტ ათასამდე მეომარი დაუპირისპირა. ბრძოლა გაიმართა 1121 წლის 12 აგვისტოს, რომელიც ქართველთა არნახული გამარჯვებით დამთავრდა. ეს იყო ქართველების სიმამაცის, მათი სახელოვანი სარდლის, დავითის სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის, მხედართმთავრული ნიჭიერებისა და რაინდული ნებისყოფის ნამდვილი ტრიუმფი.

ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებას და დავითის მხედართმთავრულ ნიჭიერებას გამოეხმაურა მაშინდელი მსოფლიო. ლეგენდებიც შეიქმნა დავითის შესახებ.

ისტორიკოსი, რომელიც აღწერს დიდგორის ბრძოლას წუხს, რომ მან ისე ვერ აღწერა ეს ბრძოლა, დავითის დამსახურება, როგორც ეს შეეძლოთ სიტყვის უფრო დიდოსტატებს. დავითის ისტორიკოსი ქართველ მხედართმთავარს ალექსანდრე მაკედონელზე უფრო მაღლა აყენებს და დიდგორის ბრძოლასაც სხვა ომებისაგან განასხვავებს თავისი მასშტაბით,

დიდგორის ბრძოლას და დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის გაშუქებას მეცნიერული ნაშრომები მიუძღვნეს ი. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა, შ. მესხიამ, რ. მეტრეველმა, შ. ბადრიძემ, მ. ლორთქიფანიძემ და სხვა გამოჩენილმა მეცნიერებმა.

ხალხგანთქმულ ისტორიკოსს, გამოჩენილ მკვლევარსა და მეცნიერს, ჩვენს თანამემამულეს, შოთა მესხიას, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა დიდგორის ბრძოლას („ძლევაი საკვირველი“), მოაქვს მდიდარი მასალა ქართული, აღმოსავლური და ევროპული წყაროებიდან, რომლებიც გვიხასიათებენ დიდგორის ომის მიზეზებს, ამ ომისათვის მზადებასა და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით მის დამთავრებას.

დიდგორის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ისტორიული შედეგი იყო თბილისის განთავისუფლება. დიდგორის ველზე დამარცხებულთა დევნის დამთავრებისა და გზადაგზა მაჰმადიანთა სამფლობელოების დალაშქვრის შემდეგ უკან შემობრუნებულმა დავითმა ალყაში მოიქცია თბილისი, 1122 წლის დამდეგს გაათავისუფლა იგი და 400 წელს უცხოელთა ხელში მყოფი ქართველთა დედაქალაქი ქვეყანას დაუბრუნდა.

დავით აღმაშენებელი არა მარტო საქართველოს განმანთავისუფლებელ - გამაერთიანებელია, მან თავისუფლება მოუტანა ამიერკავკასიაში მოსახლე სხვა ხალხებსაც. კახეთ-ჰერეთის შემდეგ დავითმა შარვანი აიღო და კასპიის ნაპირებს მიადგა. სომხებმაც დახმარება ითხოვეს. დავითმა სომეხთა არაერთი ქალაქი და ციხე დაიკავა და ბოლოს მათი დედაქალაქი ანისიც გაათავისუფლა ურჯულოებისაგან. ამით მან საქართველოს მეზობელ, ამიერკავკასიის ხალხთა სიმპატიები და მადლიერება დაიმსახურა, იგი ხალხთა განმათავისუფლებელის სახელის მატარებელი მოღვაწე გახდა. ეს ტერიტორია მოიცავდა ნიკოფსიიდან (ტუაფსის მიდამოები) დარუბანდამდე და ოსეთიდან (დღ. ჩრდ. ოსეთიდან) არაგვწამდე (სომხეთი) დასახლებას.

განუზომელია დავითის დამსახურება ქართველი ერის წინაშე. მისი უმაღლესი მხედართმთავრული ნიჭისა და რაინდული შეგრძნების შედეგი იყო დიდგორის ომში ქართველთა ნამდვილად საკვირველი, საარაკო გამარჯვება, რომელიც ყოველთვის ხაპატიო ადგილს დაიჭერს წარსულის დიდი ომების ისტორიაში. ამ ომების წარმოების სამხედრო ხელოვნების ისტორიაში.

დიდგორის გამარჯვებამ გადაარჩინა ქართველი ხალხი მძიმე ხვედრს, რომელიც მას მოელოდა თურქ-სელჩუკების ბატონობისაგან. ამიტომ 12 აგვისტო, ქართველთა ამაღლების, მათი გამარჯვების საზეიმო დღეა, იგი დავით აღმაშენებლის უმაღლესი მხედართმთავრული ნიჭიერების გამოჩენის დღეა. წინამდებარე სტატიის მიზანი არ არის გაუშუქოს დავითის მრავალმხრივი მოღვაწეობის სხვა სფეროები.

ჩვენს მოკლე სტატიას ვამთავრებთ დავითის ისტორიკოსის სიტყვებით, რომ დავითის გამეფებით „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან“ („ქართლის ცხოვრება“ ტ. 1, გვ. 328).

მამანტი პაპაკორია,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი.

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის

პრეფექტურის გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

მიწათსარგებლობაში შექმნილი მდგომარეობის შ ე ს ა ხ ე ბ

უკანასკნელ პერიოდში ქალაქისა და რაიონის მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის საქმეში აშკარა დარღვევებია. მოსახლეობის ცალკეული ნაწილის მიერ ადგილი აქვს სამოსახლო მიწების უკანონოდ დაკავების, სახნავ-საძოვრების მიტაცების, მრავალწლიანი ნარგავების ამოძირკვისა და ჩამოწერის ფაქტებს ზოგიერთი ამას აკეთებს გმამჭაპისეული მიწების დაბრუნების მოტივით, რაც უსაფუძვლოა.

წესრიგი არ არის დამყარებული ასევე ცალკეული წარმოებაორგანიზაციებისა და კოოპერატივებისათვის გადაცემული მიწების აღრიცხვისა და გამოყენების საქმეში.

აღნიშნული მოქმედება მიწათსარგებლობის მოქმედი წესების უხეში დარღვევაა, იწვევს მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას, უკონტროლობასა და ქაოსს.

რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიწის შესახებ ახალი კანონის მიღებამდე მიწათსარგებლობაში სათანადო წესრიგის დამყარების მიზნით სოფლის საკრებულოების, მეურნეობა და წარმოება ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა:

1. დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები საზოგადოებრივი სარგებლობის მიწებისა და ნარგავების თვითნებური მიტაცების აღსაკვეთად. განუმარტონ მოსახლეობას, რომ მიწების თვითნებურად გადანაწილება ქმნის განუკითხობას ურთიერთდაპირისპირებას და დისციპლინის მოშლას, რაც დიდ ზიანს აუენებს ეკონომიკის ნორმალური განვითარების ინტერესებს.

2. წესრიგში მოიყვანონ მათ განკარგულებაში გადაცემული მიწების აღრიცხვა ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. მრავალწლიანი ნარგავების ამოძირკვა და ჩამოწერა აწარმოონ მხოლოდ სათანადო ორგანოების ნებართვის შემდეგ. მიწათსარგებლობაში დარღვევების თითოეულ ფაქტზე დამნაშავენი გადასცენ სამართალდამცავ ორგანოებს.

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტი:
თ. ჟორჟოლიანი

1991 წლის 30 ივლისი

გამოხმაურება

მხოლოდ მაშინ გ ა ვ ა კ ა მ ა რ თ ლ ე ბ თ

გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ეთიკის ძირითადი წესების პროექტი. მასში ერთ-ერთ მუხლად წერია: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი თავს უნდა იკავებდეს ისეთი ქმედების, განცხადებისა და ქცევისაგან, რომლებსაც შეუძლიათ პატივი და ღირსება შეულახონ თავად მას, მის ამომრჩეველს, პარტიას თუ პოლიტიკურ ბლოკს...

ეს მუხლი უდიდეს პასუხისმგებლობას ანიჭებს ეროვნული პარლამენტის წევრებს. გარდამავალ პერიოდში ყველაზე მეტად გვმართებს ბრძოლა კანონიერებისათვის, ზნეობრივი სრულყოფისათვის. ადამიანთა შეგნებაში მტკიცნეულად ფიქსირდება ესა თუ ის ფაქტი, ადგილობრივი მმართველების ამა თუ იმ წევრის შეუფერებელი საქციელის შესახებ, რამდენიმე რაიონში ამას მოჰყვა კიდეც პრეფექტების თანამდებობიდან გათავისუფლება.

ყოველივე აქედან სწორი დასკვნა უნდა გავაკეთოთ. ხალხი არაფერს გვაპატიებს — ვიყოთ ხალხის მისწრაფებათა, გულისთქმათა გამომხატველი და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მათი ნდობის მოსაპოვებლად.

მხოლოდ მაშინ შეეძლებთ იმედების გამართლებას, მხოლოდ ამით შეეძლებთ იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომელიც მთავრობამ გამოიტანა უზენაესი საბჭოს წევრის ეთიკის წესების პროექტის სახით.

ბ. მითაბეარია

ᲜᲣ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ ᲛᲬᲕᲐᲜᲔᲡ ᲢᲔᲠᲝᲠᲡ...

იყო დრო ამაღლებული განწყობილებით ვწერდით ენგურჰესზე, გმირებად გაცხადებდით მის მშენებლებს, ვაქებდით ზესტაფონის ფეროს... ეროვნული ძალების შემართება, რომ არა, ხუდონისეც „დაგვამშვენებდა“, თუმცა მილიონები მაინც შეეწირა მას. ახლა წარსულის ყველა უბედურებამ ერთად შეგვახსენა თავი. ვერ გავრკვეულვართ, რომლისთვის მოვიცალოთ, რომელს მივხედოთ. გვიტევს ეკოლოგიური პრობლემა, გვიტევს მწვავედ. ჩვენი ქალაქისა და რაიონის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, მიღწეულზე, გასაკეთებელზე გვესაუბრებიან საქართველოს მწვანეების ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ᲑᲔᲭᲐᲜ ᲒᲣᲜᲐᲕᲐ და საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის“ გენერალური დირექტორი ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲝᲗᲐᲠ ᲨᲐᲪᲐᲪᲘᲐ.

—ეროვნული საკითხი და ეკოლოგია განუყოფელია ერთმანეთისაგან. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დიდი ეროვნული მოძრაობაცაა. თქვენს პირველ ნაბიჯებზე რას გვეტყვით. მოკლედ, თქვენ რით დაიწყეთ ზუგდიდის მწვანეებმა?

—ზუგდიდში დიდი ხანია არსებობდა ყოველგვარი წინაპირობა მწვანეთა მოძრაობის შესაქმნელად. კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმი ყოველნაირად ექსპლოატაციის უწევდა ბუნებას და არაფერს აკეთებდა მის სასიკეთოდ. დღეანდელი კატასტროფული მდგომარეობაც სწორედ შედეგია იმ საზოგადოებისა, რომელშიც ვცხოვრობდით.

ზუგდიდის მწვანეები არსებობის მხოლოდ ერთ წელს ითვლიან, მაგრამ ვფიქრობთ, ერთი წელიც საკმარისია გაკეთებულის და გასაკეთებელის. საოქმოდ მტკივნეული იყო პირველი ნაბიჯები. შარშან, ზაფხულში ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმი მძვინვარებდა აქ. მოგეხსენებათ, ცხალაბასთუმანი ერთ-ერთი ყველაზე ჰატარა სოფელია ზუგდიდის რაიონში. ნაგავსაყრელმა, ხორცკომბინატმა, ამ ბოლო დროს მომრავლებულმა მცირე საწარმოებმა დაუკარგეს თავისი სახე. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა ამიაკის გაჟონვას. ხოლო როცა სოფელში ასფალტის ქარხნის მშენებლობაც დაიწყო გაჩუმება არ შეიძლებოდა ახალ ბასთუმნის ამ გახმაურებულ პრობლემაზე არა ერთხელ ვიმსჯელეთ. მაშინდელმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი ეროვნულ ძალებს (რუსთაველის საზოგადოებას, ჭავჭავაძის საზოგადოებას, ჩვენ, მწვანეებს) დაუპირისპირა ხალხი. ხალხი, ვისი კეთილდღეობისათვის ვიბრძოლით და ვიბრძვით ახლაც, სოფლის მცხოვრებლებმა მწვანეთა პარტიის სპიკერს ზურაბ ჟვანიას ისიც კი უთხრეს: მერე რა, ჩვენი ბავშვები ბანაობენ ამ მდინარეში, თქვენი ბავშვები ხომ არ ბანაობენო და კიდევ ჩვენი ბავშვები არ თევზაობენ აქ, გაღმა სოფლელები თევზაობენო. აი, როგორ დააწვრილმანა ადამიანები იმ მბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა რეჟიმმა, როგორ დააკნინა მათი ცნობიერება. ზრუნვა ეკოლოგიური სუფთა საერსებო გარემოსა თვის თითოეულის პამელიშვილური სუფთა საარსებო გარემოსა ველოში პატიების დროა, „ჩემის“ და „შენის“ დავიწყების დროა, თანადგომის დროა.

—ქართულმა ტყემ დიდი ხანია ჰირისუფალი დაკარგა ჩვენი რაიონის ტყეებზეც იგივე ითქმის ალბათ...

—იგივე, უმოწყალოდ იჭრებოდა და იჭრება. ახლაც ჩვენს ტყეებში ალვის ხეები, მუხა, კოპიტი, ბზა, თხმელა. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ჰურიის ტყე ეს არის . შემორჩენილი მუზეუმი უნიკალური ფლორითა და ფაუნით. ჰურიის ტყე ეს არის სახელმწიფოს საკუთრება და არავის აქვს მისი ხელყოფის უფლება. მავანთ და მავანთ განზრახული აქვთ ამ 1000 ჰექტარი ტყის ფართობის განადგურება და პირუტყვის მოშენება, მაგრამ მე ვიძლევი იმის პირობას, რომ ზუგდიდის მწვანეები ამას არ დაუშვებენ. ის უნდა გამოცხადდეს ნაკრძალად.

—დღეს მთელი ზუგდიდი ლაპარაკობს ანაკლიაში პორტის მშენებლობაზე. როცა ასე კატასტროფულ მდგომარეობაშია შავი ზღვა, როცა ფაქტიურად მისი გადარჩენის პრობლემა დგას, გვჭირდება კი ის საერთოდ?

—ზუგდიდის მწვანეები და არა მარტო ზუგდიდის მწვანეები, საქართველოს მწვანეები ამ პორტის მშენებლობის კატეგორიული წინააღმდეგი არიან. სპეციალისტებმაც დაამტკიცეს მისი მშენებლობის გაუმართლებლობა, ეკოლოგიურად და ეკონომიურადაც. ჩვენ ეს საკითხი გავიტანეთ ბათომის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც შავი ზღვის აუზის პრობლემებს მიეძღვნა. ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის მინისტრმა დაკით ნაკანმა პირდაპირ ასე გაგვცა პასუხი, რომ ანაკლიაში პორტი არ იქნება. ის ზიანს მიაყენებს არა მარტო ზღვას, არამედ მის სანაპიროებსაც. წაგვართმევს ისტორიულ სოფლებს—ანაკლიას და განმუხურს, მოსპობს ჰურიის ტყეს, მის იშვიათ ფლორასა და ფაუნას. ამ დღეებში ჩვენ სტუმრად გვყავდა თურქი მწვანეები. შეხვედრაზე თურქეთის მწვანეების პრეზიდენტმა ქალბატონმა ბილგემაც ხაზი გაუსვა იმას, რომ ყოველი ახალი პორტის მშენებლობა შავ ზღვაზე კიდევ უფრო გაამინძურებს მას. ხომ არ არის ამ პორტის მშენებლობა ჩვენს ქალაქში ნაგავსაყრელი ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებული, ხომ არ იქნება ის დასავლეთიდან რადიაციული ნაგავის შემოტანის კერა. როგორც თურქმა კოლეგებმა აღნიშნეს, თურქეთის შავი ზღვის სანაპიროებზე დაცურავდა დასავლეთის გემი და იყო ასეთი მცდელობაც. ანაკლიაში პორტი არ გვჭირდება და არც იქნება, თუნდაც ჩვენ, ზუგდიდის მწვანეები ამ საქმეს შევეწიროთ. ამას კიდევ ერთხელ გადაჭრით ვაცხადებთ ყველას საყურადღებოდ. რადგან ბათუმის კონფერენცია ვახსენე აქვე ვიტყვი, რომ ერთ-ერთ ძირითად საკითხად დაისვა შავი ზღვისპირეთის დემილიტარიზაციის საკითხი. შავი ზღვისპირა აუზის ქვ. მწვანეების მოთხოვნა, რომ სამხედრო შენაერთებმა, ეს იქნება ნატოს თუ საბჭოთა ჯარები, დატოვონ შავი ზღვის სანაპირო. საზოგადოებას ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული, რას ჩადიან ანაკლიაში განლაგებული სამხედრო ნაწილები. აქ დღე-ღამის განმავლობაში მუშაობს ზესიხშირის რადიოლოკატორები. ეს დასხივება გარკვეულ რადიუსზე სპობს ყოველგვარ ცოცხალ ორგანიზმს. ჩვენთვის უცნობია, რა ღღეშია ამ სამხედრო ნაწილების გამწმენდი ნაგებობა, როგორია ამ აკრძალული ზონის ეკოლოგიური მდგომარეობა. ამის თაობაზე წერილითაც მივმართეთ გენერალ პატრიკეევს, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია.

—ქალაქი და მდინარე ორი განუყოფელი ცნებაა. ჩვენი ჩხოუშიას გასაგირზე ბევრი თქმულა და დაწერილა. სასიკეთოდ შემობრუნდა საქმე თუ...

—მდინარე ყოველთვის არის ქალაქის არსებობის წყარო. მასელოგმულებელ. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ჩხოუშიაზე. ჩხოუშია ეკოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცხელი წერტილია ოფისაც. თუ სადმე, რომელიმე ქუჩას ემსახურება ქალაქში ნაგავსაყრელი მაწკანა, ის პირველ რიგში უნდა მოემსახუროს სანაპირო ზოლს. მოსახლეობასაც უნდა დაუწესდეს კონტროლი. ბევრი საწარმო პირდაპირ გაუფილტრავად უშვებს მდინარეში წარმოების ნარჩენებს. მძიმე დღეშია მდინარე ჭუმიც, რომელსაც ჩხოუში უერთდება. და საერთოდ, დღეს ეკოლოგიურად ცხელი წერტილია მთელი ქალაქი. არ ფუნქციონირებს გამწმენდი ნაგებობა. არ არსებობს სამრეწველო ობიექტი, ეკოლოგიურად მავნე რომ არ იყოს. მათ რიცხვს ეკუთვნის ფაიფურის ქარხანა, ჩაის ფაბრიკები, ასფალტის ქარხნები, მეფრინველეობის ფაბრიკა, ავიღოთ თუნდაც ავტოსამაროი სადგურები. ისინიც დიდ ზიანს აყენებენ გარემოს. აქვე მინდა აღვნიშნო ბენზინზეც. შემოდის უხარისხო ბენზინი. ‘გაცემაც წარმოდგს შეუმოწმებლად. ასეთი ბენზინის წვის შედეგად გამონაბოლქვი ორჯერ და უფრო მეტად აჭუჭყიანებს ატმოსფეროს. როცა ვინმეს მოვალეობის შესრულებას შევახსენებთ, მოჰყავთ ათასგვარი მიზეზი. ყოველივე ეს იმის გამოა, რომ საქართველოში არ არსებობს კანონი ეკოლოგიის შესახებ. ამ ეკონომიურად დაქვეითებულ ქვეყანაში, ასეთი კრიზისის პერიოდში ნაკლებად ფიქრობენ ბუნებაზე. არადა უნდა შეიგნოთ ყველამ, რომ ეკონომიურია ის, რაც ეკოლოგიურია. ადამიანის ჯანმრთელობაზე უფრო დიდი სიმდიდრე არ არსებობს.

—ყველამ ვიცით, რა საშიშია, ნიტრატებიანი და პესტიციდებიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღება. სერიოზულ დაფიქრება გვმართებს ამაზე.—ამ მხრივ რაზე სიახლეს ხომ არ გვპირდებიან მწვანეები?

ჩვენი ინიციატივაა შეექმნათ უნიტრატო და უპესტიციდო მეურნეობა. მოსახლეობასაც ვურჩევდით ამას. ასეთ მეურნეობას ალტერნატიულ მეურნეობას უწოდებენ ჩეხოსლოვაკიაში. პრინციპი ასეთია: მუშავდება დაუმუშავებელი მიწა ყოველგვარი ქიმიის ჩარევის გარეშე. ფართობში შეაქვთ მხოლოდ და მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა ნივთიერებები, ორგანული სასუქები. ჩვენ თხოვნით მივმართეთ პრეფექტურას. გამოეყო ასეთი მეურნეობისათვის მიწა, მაგრამ დღემდე პასუხი არ ჩანს, და მაინც იმედი გვაქვს მეტი ყურადღების, მეტი თანამშრომლობის, თანადგომის. თუმცა არც ეს გვაკლია ბევრი წარმოება-დაწესებულებისაგან. „კოლხიდუშეწმა“ 5 ათასი მანეთი გადაურიცხა მწვანეებს, ჩაის გადამწოსმა ფაბრიკამ 10 ათასი მანეთი, კახათის კოლმეურნეობამ 5 ათასი მანეთი. ჩვენ არა ვართ მოკლე შარველიანი ბიჭები, შაბათობით ხეების დასარგავად რომ გამოდიან, როგორც ზოგიერთებმა გვიწოდეს. ჩვენ ვართ პოლიტიკური ორგანიზაცია, საქართველოს ეროვნული მოძრაობის ნაწილი. იმ ეროვნული მოძრაობის, რომელიც სწორედ ეკოლოგიური პრობლემებით დაიწყო. ამის მაგალითად კმარა ხუდონჰესი, ტრანსკავკასიის რკინიგზა. ზუგდიდის მწვანეები ვთხოვთ მოიწოდებთ ყველას: ნუ გაუმართავთ მწვანეს ტერორს, ნუ შევეჯიბრებით ჩვენს მაცოცხლებელ ბუნებას.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚᲘᲐ

—ბატონო ოთარ, დღეს მთელი რესპუბლიკის ეკონომიკა ახალ გზას ეძებს. მრავალი საწარმო დუხჭირ მდგომარეობაში ჩავარდა. თქვენს გაერთიანებაზე რას გვეტყოდით?

—„საქქაღალდმრეწვიც“ გიჭირს, როგორ არ გვიჭირს., მართალია, საწარმო 70-იანი წლების დასაწყისიდან გახდა რენტაბელური, მაგრამ ამ ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით ბოლო ორი წლის მანძილზე ის მოგება, რასაც ვვარაუდობდით. არ მიგვიღია. წარმოება მყარად რომ დადგეს, მას უნდა ჰქონდეს ამის საფუძველი. საფუძველს კი შეადგენს კარგი, გამართული მანქ ნა-დანადგარები, ნედლეული და კვალიფიციური კადრები. ნედლეულის საკითხი ასე თუ ისე მოგვარებულია. არც მანქანა-დანადგარები გვაქვს ურიგო. აი, კვალიფიციური კადრები კი არა გვყავს. დღეს მომუშავენი გადამზადებას მოითხოვენ. საქართველოს დამოუკიდებლობის გზა უნდა განაპირობოს საბაზრო ეკონომიკამ, ასეთი ეკონომიკის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს კადრებს. იმედია, ყველაფერს გადაწყვეტს პრივატიზაციის კანონის მიღება. მაგრამ იხ ძალიან რთული საქმეა. მას გარკვეული დრო დასჭირდება. იცით, რომ ენგურქაღალდ კომბინატში მუშა-მოსამსახურეებისათვის კარგი პირობებია შექმნილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, კადრები მაინც გვაკლია, მაინც მიდიან წარმოებიდან. დასანანია, რომ ახალგაზრდები ფაბრიკა-ქარხნებიდან გარბიან კოოპერატივებში, საკომისიო მაღაზიებში. წამდვილ ბიზნესს და კომერციას მე ყოველთვის მივესალმები. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენთან ყოველივე ამან სპეკულაცია-ძარცვის სახე მიიღო. თუ არ შევცვალეთ შრომის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად. მყარი ეკონომიკა არასოდეს არ გვექნება.

—ბატონო ოთარ, დღეს ასე მწვავედ დადგა საზოგადოების წინაშე ეკოლოგიური პრობლემა, რომ წარმოუდგენელია ის ეკონომიკასთან ერთად არ ვახსენოთ. ამასთან, თქვენ ბრძანდებით შავიზღვისპირეთის კონსორციუმ „კოლხას“ პრეზიდენტი და კავშირი გაქვთ ანაკლიაში პორტის მშენებლობასთან, რომელსაც ასე გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ზუგდიდის მწვანეები. ხომ არ გაგვიჩენს ეს ახალ თავსატეხს?

—ანაკლიაში იქნება მისადგომი პირსი და არა პორტი. მინდა დავარწმუნო ზუგდიდის მწვანეები, რომ პირსი, რომელიც იქნება „საქქაღალდმრეწვის“ ერთი ახალი (ჰიგიენური ქაღალდების) საამქროსათვის ნედლეულ მიწოდების გზა. არავითარ ზიანს არ მიაყენებს, ეკოლოგიას. და საერთოდ, „საქქაღალდმრეწვის“ ხელმძღვანელობის ამოსავალი წერტილი ყოველთვის იყო და არის ზრუნვა ეკოლოგიაზე, გარემომცველ ბუნებაზე მარტო ის რად ღირს, რომ ჯერ კიდევ 1970 წლიდან ჩვენ არ ვსარგებლობთ ადგილობრივი ნედლეულით, სვანეთის ხე-ტყით და მთლიანად დამოკიდებული ვართ რუსეთიდან შემოტანილ ნახევარფაბრიკატებზე. ასევე კომბინატმა დიდი ხანია შეწყვიტა ქლორზე, გოგირდზე და სხვა მავნე ნივთიერებებზე. მუშაობა. მოქმედებს 54 ათასი კუბური მეტრი გამწმენდი ნაგებობა. ასე რომ ეკონომიკა და ეკოლოგია განუყოფელია და კომბინატის ხელმძღვანელობა ყოველთვის ითვალისწინებს ამას.

ესაუბრა მ. ᲯᲘᲜᲯᲘᲨᲕ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ვინაიდან ზოგიერთები ბოროტად იყენებენ ქვეყანაში არსებულ არასტაბილურ ვითარებას, ასაღებენ რა თავს ეროვნული გვარდიის ოფიცრებად, ეწევიან ათასგვარ მაქინაციებს, მექრთამეობას, ასევე ეგრეთწოდებულ „შეწერვებს“ და ამით ლახავენ ეროვნული გვარდიის ავტორიტეტს, ზუგდიდის ეროვნული გვარდიის პოლკის სამხედრო საბჭო კატეგორიულად აცხადებს: ნებისმიერი პიროვნება, ვინც არ უნდა იყოს ის, თუკი საჭიროების შემთხვევაში ვერ წარმოადგენს ოფიცრის პირადობის მოწმობას, რომლის გარეკანზე აწერია: „საქართველოს რესპუბლიკა“, („ზერბი“) „ოფიცრის პირადობის მოწმობა“, „შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდია“, ხოლო მფლობელის შიდა ფოტო არაა დამტკიცებული, აგრეთვე შეიდქიმიანი გერბიანი ბეჭდით, ჩაითვლება ფალსიფიკაციად. ამ შემთხვევაში ეჭვმიტანილი პიროვნება სასწრაფოდ უნდა იქნას დაკავებული და მიხი ვინაობის გამოსავლინებლად ეცნობოს ზუგდიდის პოლკის სამხედრო საბჭოს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

მ.წლის 30 ივლისს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტის ინიციატივით შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში შედგა ქალაქში მოქმედი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებების შეხვედრა.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდში მოქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა და საზოგადოებებმა: საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ, სახალხო ფრონტმა, ჰელსინკის კავშირმა, ტრადიციონალისტთა კავშირმა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ, დემოკრატ პედაგოგთა კავშირმა, რუსთაველის საზოგადოებამ, მერაბ კოსტავას საზოგადოებამ, წმინდა ილია-მართლის საზოგადოებამ, კომპარტიამ, ექიმთა ასოციაციამ, მწვანეთა პარტიამ, ეკონომისტთა ასოციაციამ, ლიბერალურ - დემოკრატიულ-ეროვნულმა პარტიამ, დემოგრაფიულმა საზოგადოებამ, აგრეთვე წარმოება-დაწესებულების პროფკავშირის თავმჯდომარეებმა.

შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტის წევრი თორნიკე ბერაძე.

ამ შეხვედრაზე მთავარი თემა იყო დღეისათვის ქალაქ ზუგდიდსა და მის რაიონში შექმნილი რთული პოლიტიკური და სოციალური ვითარების განხილვა.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა მწვავე კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტის თავმჯდომარემ ულდან შელიამ, რუხის საკრებულოს თავმჯდომარემ, ჰელსინკის კავშირის წევრმა ალიკო თორდუამ, ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს წევრმა ბადრი დარასელიამ, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა ბაჩუკი ქარჩავამ, მწვანეთა პარტიის თავმჯდომარემ ბეჟან გუნავამ, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა ზურაბ ბეჭვაიამ, გაზის ტრესტის პროფკავშირის თავმჯდომარემ, ჰელსინკის კავშირის წევრმა ლამარა ძიძიგურამ, ჰელსინკის კავშირის წევრმა რევაზ შენგელიამ, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტის წევრმა მაია ბარამიამ, ფაიფურის ქარხნის პროფკავშირის თავმჯდომარემ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრმა ბორის ქარჩავამ, სატვირთო ავტოკოლონის მძღოლმა ამირან კლდიაშვილმა, შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა მზია ტოგონიძემ, ზუგდიდელმა მოქალაქემ კაკო ჭადარიამ, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა მურთაზ ბოკუჩავამ, საქქალალდმრეწვის პროფკავშირის თავმჯდომარემ მურთაზ ბერდიხელიამ, რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმმა ზვიად თოლორაიამ.

შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობამ კრიტიკულად შეაფასა ჩვენს ქალაქსა და რაიონში შექმნილი რთული პოლიტიკური და სოციალური ვითარება, რაც მათი აზრით ადგილობრივი ხელმძღვანელობის ბრალმდებლობით არის გაპირობებული.

აზრთა სხვადასხვაობის გამო ვერ მოხერხდა რაიმე სერიოზული დოკუმენტის მიღება.

შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვიტეს უახლოეს ხანებში მოეწყოს ზუგდიდში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოების შეხვედრა ფართო საზოგადოებრიობასთან, სადაც დაიხახება ამჟამად შექმნილი რთული პოლიტიკური და სოციალური ვითარების გამოსწორების გზები.

ᲠᲝᲚᲘᲜ ᲗᲘᲠᲥᲘᲐ,
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტის წევრი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

იმპერიული თუ ადგილობრივი რეაქციული ძალები მავანთა და მავანთა მეშვეობით ეწევიან დივერსიულ მოქმედებას ეროვნული გვ დიის მიმართ. ისინი ასეთი ქმედობით ცდილობენ ჩირქი მოსცხონ, სახელი გაუტეხონ მას.

რაში გამოიხატება ეროვნული გვარდიის მისამართით გავრცელებული დივერსიული მოქმედება?! — სწორედ ამაზე გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება, პატივცემულო საზოგადოებავ! დივერსანტ-აგიტატორების მიერ გავრცელებული ჭორების მიხედვით ზუგდიდის რაიონში დისლოცირებული ეროვნული გვარდიის ბატალიონის ჯარისკაცები თურმე ადგილობრივ მოსახლეობას პპარავენ: ქათმებს, ბატებს, გოჭებს, იხვებს და ა. შ. და ამ ნაპარავს ამზადებენ თურმე სასადილოში, რადგანაც სხვაგან ვერ ახერხებენ ნაქურდალის მიტანას. ამ დივერსიის გამავრცელებლებმა ის კი არ უწყიან (ან შეგნებულად უვლიან გვერდს), რომ ამ სასადილოში მომსახურე ძირითადი პერსონალი იმავე სოფლის ხალხია, სადაც განლაგებულია ეროვნული გვარდიის ნაწილი. ეს ადამიანები წლობით მუშაობდნენ ამავე სასადილოში, რომელიც ამ ბოლო დრომდე ემსახურებოდა ყოფილ № 103 საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელს, რომ ამ სასადილოს მომსახურე პერსონალმა მშვენივრად იცის რა სტანდარტისა და რა რაოდენობის საჭმელს ამზადებენ საერთოდ ჯარისკაცთა თუ ოფიცერთა პირადი შემადგენლობისათვის. ასევე სოფლის მოსახლეობას ჯარისკაცების მიმართ არა აქვს თუნდაც უმნიშვნელო პრეტენზიაც კი.

დივერსანტ-აგიტატორები ავრცელებენ ჭორებს თითქოს ნაწილში არა აქვთ საკვები პროდუქტები და ამიტომ გვარდიის ხელმძღვანელობა იძულებულია შეებულებაში გაუშვას ჯარისკაცები. ვითომცდა ოფიცერთა შემადგენლობა ჯარისკაცებს შეურაცხყოფს, აბუჩად იგდებს, აღვიეებს ეროვნულ შუღლს, რომ ვითომ სუფეეს ანარქია, განუკითხაობა, თავაშვებულობა, უდისციპლინობა და ა. შ. შეიძლება ეს ყოველივე გულუბრყვილო ჭორიკანების მიერ მორიგ შეთითხნულ ჭორად მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ ეს ასე როდია. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ვერაგულად ჩაფიქრებული, შორს გამიზნული დივერსიული მოქმედებაა, რასაც ავანტიურისტები თავიანთი აგენტურების მეშვეობით ავრცელებენ მოსახლეობაში. ეს-ის ნაღმია, რომელშიც მათი ავტორების ჩანაფიქრით მათთვის საჭირო შედეგები უნდა გამოიღოს, ძირი გამოუთხაროს, ავტორიტეტი დაუკარგოს ეროვნულ გვარდიას და შეჭვნას. იღუბია იმისა, რომ საკავშირო არმია უფრო დისციპლინირებულია, უფრო პრესტიჟულია, რომ საბჭოთა არმიაში სამსახური უკეთესია, საამაყოა და ა. შ. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს, როგორც რიგით ჯარისკაცზე, ასევე ეროვნული გვარდიის ძირითად შემადგენლობაზე.

ზუგდიდში დისლოცირებული ეროვნული გვარდიის პოლკის შტაბთან მოქმედი სამხედრო საბჭოს წევრები კატეგორიულად ვაცხადებთ: მოქალაქეები, რომლებიც შემჩნეულნი იქნებიან მსგავსი პროვოკაციების გავრცელებაში, რომელიც ჩირქს სცხებს ეროვნული გვარდიის შემადგენლობას, დაკავებულ იქნებიან შემჩნეგისთანავე და წარდგენილ იქნებიან სამხედრო კომენდატურაში. თუკი მოქალაქე ვერ დაამტკიცებს თავისი ნათქვამის სისწორეს, ის გადაეცემა საათანადო ინსტანციებს და მიუხედავად მისი ოჯახური მდგომარეობისა, ეროვნულობისა, მრწამსისა თუ სარწმუნოებისა, ცილისწამებისათვის დაისჯება კანონის მთელი სიმკაცრით.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ:
Შ. ᲥᲝᲛᲑᲐᲚᲘᲐ,
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ,
Ბ. ᲨᲐᲪᲐᲪᲘᲐ,
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ.

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲪᲝᲓᲜᲐ — ᲛᲐᲡᲔᲑᲡ!

ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ

სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია მტკიცებითი სამართალი, რომლის მოთხოვნათა ცოდნა აუცილებელია ფართო საზოგადოებრიობისათვის. ეს საკითხი მეტად საინტერესოდაა გაშუქებული აწგანსვენებული პროფესორის ბეჟან ხარაზიშვილის მონოგრაფიაში, რომელიც მეცნიერის „გედის სიმღერა“ აღმოაჩნდა. ამ წიგნით ერთგვარი ეტაპი შეიქმნა ქართულ მეცნიერულ სამართლის მცოდნეობაში.

როცა მყარ მტკიცებით საფუძველზე აიგება რომელიმე ბრალდება, ამის შემდეგ სასამართლოს რჩება სასჯელის თანაზომიერების საკითხი და მართლმსაჯულება ზეიმობს მხოლოდ-დამხოლოდ მაშინ, როდესაც საქმეში მყარად არის გარკვეული და გადაწყვეტილი სამი საყრდენი: დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დამნაშავის ზუსტად დადგენის და სასჯელის თანაზომიერების საკითხები. ყოველივე ამისთვის კი საიმედო დასაყრდენი მტკიცებითი სამართალია.

შემთხვევითი არ იყო, რომ წარსულის ცნობილი ინგლისელი მეცნიერ-იურისტი პროცესუალისტი უილიამ უილზი ნათლად განსაზღვრავდა; არ შეიძლება „შავი ცხენის ათი ათასი ნაწილისაგან შეკადგინოთ ერთი თეთრი ცხენი“. ამიტომ სასამართლოს საქმეში რაც უნდა ბევრი იყოს სხვადასხვა მტკიცება, თუ ისინი არ ქმნიან ერთ მწყობრ, თანმიმდევრულ მსჯელობათა ჯაჭვს, რომელიც ნათელყოფს დანაშაულის არსებობის და ამ დანაშაულის სწორედ კონკრეტული პირის მიერ ჩადენილ ფაქტს, თუ კი არსებობს თუნდაც ერთი ეჭვი, მაშინ არ არის დამტკიცებული დამნაშავის დანაშაული და ის გამართლებულ უნდა იქნეს კანონმდებლობის მიერ აღიარებული უდანაშაულობის პრეზუმფციის მიხედვით. საპროცესო კანონმდებლობის ძირითადი პრინციპის საფუძველზე ყველა პირი უდანაშაულოა, ვიდრე მისი დანაშაული სასამართლო განაჩენით მყარად არ არის დამტკიცებული, რადგან ყოველგვარი ეჭვი ყოველთვის მხოლოდდამხოლოდ დამნაშავის სასარგებლოდ წყდება და საეჭვო იურიდიულ მასალაზე გამამტყუნებელი განაჩენის დაყრდნობა არ შეიძლება.

ჩვენში საპროცესო კანონმდებლობა და მეცნიერება იცნობს ძირითადად ხუთი მტკიცების სახეს. ესენია: ა) აღიარება, ბ) მოწმეთა ჩვენებები, გ) ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, დ) სხვა დამნაშავეთა „განთქმა“, ე) სათანადო და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნები.

დიდი სიფრთხილე გვმართებს მოწმეთა ჩვენებების შეფასების დროს, მყარად უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ იმ მოწმეთა ჩვენება გამოდგება საქმეში მტკიცებად, რომლებიც არ არიან საქმის შედეგით დაინტერესებულნი, თავის ჩვენებებში არიან თანმიმდევრული, ობიექტურნი და ლოგიკური მსჯელობით ინფორმირებული ფაქტის უშუალო მნახველნი, ან რაიმე რეალური ცოდნის გადმომცემნი. სამწუხაროდ პრაქტიკაში ხშირად გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველად დაბნეულ მოწმეთა დაბნეულ ჩვენებებსაც იყენებენ, რაც დაუშვებელია.

ბეჟან ხარაზიშვილს წიგნს გვერდს ვერ აუვლიან იურისტები თუ დაინტერესებული მკითხველები, სამართლიანად თუ უსამართლოდ დასჯილი პირები, და ყველა ისინი, ვისაც თავის მოღვაწეობაში თუ ცხოვრებაში პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეხების წერტილები ჰქონია „მტკიცებითი სამართლის“ თეორიულ თუ პრაქტიკულ გამოყენებასთან.

Კ. ᲑᲐᲫᲠᲐᲫᲔ,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სოციოლოგი და ადვოკატი, სამართლებრივი მომსახურების კოოპერატივ „ოემიდას“ თავმჯდომარე.

ჩვენი წაგანძური

ხალხური ხელოვნება — საგანძურია, რომელზეც დაშენებულია ერის ტრადიციები და თავისთავადობა. ამიტომაც უფრთხილდება ამ საგანძურს ყოველი ცივილიზებული ერი.

მით უმეტეს გვმართებს ეს ქართველებს, რომელთაც გვიხდება ყოველდღიური ხელჩართული ბრძოლა ეროვნულის შენარჩუნებისათვის, უწარმაზარ იმპერიულ მასაში გათქვეფის საწინააღმდეგოდ.

ეროვნული ფოლკლორის განვითარების საქმეში ზუგდიდიც თავის სიტყვას ამბობს. ჩვენი ხალხური სიმღერების ანსამბლები თუ სხვა ჯგუფები ამ მხრივ გარკვეულ მუშაობას ეწევიან. ვინ არ მოუხიბლავს ბიჭუნათა ანსამბლ „მაბარიას", ცნობილ „ჩელას" და სხვა. მდიდარი ტრადიციები გვაქვს ზუგდიდელებს. ამ ტრადიციებს განვითარება და ახალი შემოქმედებითი დატვირთვა სჭირდება.

ამ კუთხით მუშაობს ფოლკლორის ფონდი და ფოლკლორის მოყვარულთა გაერთიანება „მერეხი", რომელსაც ახალგაზრდა, ენთუზიასტი მუსიკოსი ბესიკ პოპიანავა ხელმძღვანელობს. რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ მას:

ეროვნული ფოლკლორის აღორძინება-შენარჩუნებისათვის

— როდის ჩამოყალიბდა თქვენი ფონდი და რას ისახავს იგი მიზნად?

— ეს ფონდი შეიქმნა 1990 წლის ნოემბერში და მიზნად ისახავს ეროვნული ფოლკლორის, როგორც დიდი საგანძურის აღდგენას, შესწავლას, განვითარებასა და შენარჩუნებას. იგი შექმნილია სპეციალურებით. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ჩვენი არაერთგზის მიმართვისა, ამ მხრივ ჯეროვანი ყურადღება არ გვიგრძნია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მხრიდან, თუ არ ჩავთვლით საგრძნობ მხარდაჭერას პურ-პროდუქტების მიმღები, ონარიის მეფრინველეობის ფაბრიკის, კოოპერატივების „ეკო", „შევარდენი", „ლაკადა", ციკავშირის ბაზის მხრიდან. აგრეთვე აღნიშნულ ფონდში გადაირიცხა ჩემი შემოქმედებითი საღამოდან მიღებული თანხა. ხელოვანის და საერთოდ შემოქმედის გზა ია ვარდთ მოფენილი არასოდეს არ არის, მაგრამ ზოგჯერ ისეთ ბარიერებს ვაწყდებით, რომლებიც ხელოვნურად შექმნილს ჰგავს. ძალიან გვიჭირს ტრანსპორტის პრობლემა, რომლის მოგვარებაში სათანადო ორგანოები უნდა დაგვეხმარონ.

— როგორ წარმოგიდგენიათ ქართული ფოლკლორის მომავალი?

— ფოლკლორის შენარჩუნება და განვითარება მარტო იმას როდი ნიშნავს, რომ შევქმნათ ანსამბლები, მრავალრიცხოვანი ფირფიტები ვაწარმოოთ, მთავარია სიმღერა ცოცხლობდეს ხალხში, ამ მელოდიებზე იზრდებოდეს ქართველი კაცი, თორემ საწყობები ისედაც პირამდე სავსეა ასეთი ფირფიტებით, ხალხური სიმღერის ყღერადობას ბავშვობიდანვე უნდა ვეზიაროთ, ამ მელოდიებზე უნდა ვავარჯიშოთ ხმა, აი, თუნდაც კრიმჭული არ უნდა გვეძნელებოდეს, უცხო ამოსათქმელი არ უნდა იყოს ამავე კუთხის ახალთაობისთვის. ამ საქმეში უნდა იყოჩაღონ ქართველმა დედებმა. ძალზე უნიჭო მომღერალიც რომ იყოს, დედის ბაგედან ამოთქმული ნანა ყმაწვილის სმენას აფაქიზებს, გრძნობას უმახვილებს, მშობლიურის სიყვარულით აღავსებს.

— რა კეთდება თქვენს ორგანიზაციაში ამ კუთხით?

— თავი და თავი ოჯახური ანსამბლების შექმნა მიგვაჩნია. ამ მხრივ, უნდა ითქვას, რომ საკმარის მუშაობას ვეწევით. ჩამოვაყალიბეთ ანსამბლები — ჭურღულიების ოჯახი ყულიშკარიდან, ქადარიების — ჭითაწყარიდან, გაბეჩავების — ოდიშიდან, საჯაიების — ორსანტიიდან და სხვა.

მსგავსი ფონდი ჩამოყალიბებულია აგრეთვე გალში, სადაც ვეძებთ სამ-სამ ძმებს ოჯახური ანსამბლებისათვის.

— რა საშუალებები გაგაჩნიათ მათ დასაინტერესებლად?

— ფონდი სწორედ მათ წახალისებასაც გულისხმობს. თუმცა ჯერჯერობით ამ მხრივ მნიშვნელოვანს ვერ ვაკეთებთ, ვცდილობთ შესაძლებისდაგვარად ვაგრძნობინოთ ჩვენი დახმარება, ვუნაზღაურებთ ტრანსპორტის ხარჯებს, ისინიც ხედავენ ჩვენს მონდომებას და თვითონაც განეწყობიან ამ საშვილიშვილო საქმის სასიკეთოდ. ამისათვის ერთ-ერთ საშუალებად ფონდში გვაქვს კოლექტიური [illegible] აუდების ორგანიზება (აქციების გაკეთება) რომლის შემოსავალი ნთლიანად მოხმარდება ეროვნული ფოლკლორის სხვადასხვა დარგის განვითარებას.

განზრახული გვაქვს ფოლკლორის სახლისთვის ბაზის შეძენა ან ახლის აშენება. სასურველია, იგი იყოს მეგრული ოდასახლის სტილის შენობა. ვფიქრობ ფოლკლორისმოყვარულთა რეგიონული ორგანიზაციის შექმნაზე, გვაქვს მრავალი ჩანაფიქრი, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ფოლკლორისტიკის განვითარებასთან, ძირითადი მიმართულება ჩვენი მუშაობისა ის იქნება, რომ მომავალი თაობა გაიზარდოს ეროვნული კულტურის ტრადიციებზე.

მინდა ვისარგებლო შესაძლებლობით და მივმართო საზოგადოებრიობას, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ეროვნული საგანძური, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში, შეეწიონ ფოლკლორის ფონდს, რომლის ანგარიშის ნომერია 70014 (აგრომრეწვბანკი). წინასწარ მადლობას გიხდით ქველმოქმედებისათვის.

სპორტი

ნორჩ ფეხბურთელთა წარმატება

ახლახან ვლადიმირის ოლქის ქალაქ კამეშკოვოში ჩატარდა 1978-79 წლებში დაბადებული ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ტაშკენტის „ფახთაკორის", ყაზანის „რუბინის", ვლადიმირის „ტორპედოს", ბულგარეთის, კამეშკოვოს „ტრუდისა" და ზუგდიდის სპორტული სკოლის გუნდები.

ზუგდიდელ ნორჩ ფეხბურთელთა გუნდმა დაამარცხა ოთხი მეტოქე, მასპინძელთა შეხვედრა ფრედ დაამთავრა. და 9 ქულით დაიკავა პირველი ადგილი.

ტურნირის საუკეთესო მეკარედ აღიარეს ზაზა პერტაია, საუკეთესო მცველად — ლაშა აბსანძე, რვა გატანილი ბურთით ბომბარდირის წოდება მოიპოვა კობა წიტაიშვილმა, ხოლო საუკეთესო ფეხბურთელად ერთხმად მიიჩნიეს ასევე ზუგდიდელი მიხეილ დიდიძე.

გიორგი კალანდია,
ვახტანგ ჯოჯუა,
მწვრთნელები:

კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ქ. ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების კოლექტივმა დიდი შრომა გასწია ჩემი შვილიშვილის გადარჩენისათვის, რომელიც მძიმედ იყო ავად. დაელოცოთ მარჯვენა მედიცინის მუშაკებს ნატო ბესელიას, მზია გაბელიას, დალი ფიფურიას, ციცო შამათავას, ნაზი სურმავას, გუგუშა არონიას.

ვერა ცხადაია,
ძველი აბასთუმანი.

ზუგდიდის განათლების განყოფილების მუშაკები იუწყებიან რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის ნინა თეიმურაზის ასულ ციმინტიას

გარდაცვალებას.

მესამე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე სკოლის ყოფილი მასწავლებლის, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის პერსონალური პენსიონერის

ნინა თეიმურაზის ასულ ფიფია-ციმინტიას

გარდაცვალებას, და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის" № 1 საბავშვო ბაღის კოლექტივი იუწყება

ნუნუ ძაგულის ასულ ჯიჯიხია-გარდავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მაზლიშვილები სვეტლანა, მურთაზი, თამაზი ფაცაციები ოჯახებით იუწყებიან

მავრა მალანია-ფაცაციას

გარდაცვალებას.

შვილები: ძაბული, მეგონა ძაპტაშვილები, დები: ქვათა, ძულა ხასიები, მული მაგდა ფიფია. სიძეები: აქვსენტი ფიფია, პანტე დარსანია, ვეელოდი გახარია, რძლები: ვენერა, კატუშა, ნანული, დალი, შვილიშვილები: მურთაზი, ნუგზარი, ტიტო, ქეთინო, ლიანა ძაპტაშვილები, დემური, ელისო, შუდული გახარიები, შვილთაშვილიშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, მულიშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ოლგა ნოჩოს ასულ ბუკია-ძაპტაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 აგვისტოს სოფ. რუხში (ნაწულუკუ)

მეუღლე თინა. შვილები: ნანული, ეთერი, თამაზი. გულნაზი. და ციცი. ძმები: ვანიჩქა, გენადი, ანზორი, სიძეები: არონი ხურცილავა, ოთარი ზარანდია, შოთა ბარნაბიშვილი. ვალერი ვაჰანია. შვილიშვილები: გია, გოჩა, ხვიჩა, ალიკა, ეუქუნა. მიხო, მახო, დათო, რძლები: ქეთო, ლიანა, ეუქუნა. როზა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ძმისშვილები და ახლო ნათესავებით იუწყებიან

ხუტა ბარნობას ძე ახალაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11, 12 აგვისტოს, დაკრძალვა 13 აგვისტოს. სოფ. განმუხურში.

მესამე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობს გურამ წითლიძეს დედის

ნორა (ნოკოლი) სამსონის ასულ წითლიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის აპარატი თანაუგრძნობს ნელი ჯაბუას დედის

საშას

გარდაცვალების გამო.

ნინა ფიფია-ციმინტია

გარდაიცვალა დამსახურებული მასწავლებელი, პერსონალური პენსიონერი, ორი ორდენისა და მრავალი მედლის კავალერი ნინა თეიმურაზის ასული ფიფია-ციმინტია.

თითქმის 70 წელი კეთილსინდისიერად იმუშავა მან ყულევის, ლიის, სენაკის ზუგდიდის სკოლებში.

ვინ მოსთვლის რამდენი ღირსეული მამულიშვილი აღუზარდა მამულს ქალბატონმა ნინამ, რომელთა სახელები და გვარები საოცარი მეხსიერების წყალობით სიცოცხლის ბოლომდე სათუთად შემოინახა გონებაში.

ცხოვრების უკუღმართობამ ნინა მასწავლებელიც არ დაინდო. ავბედით 1937 წელს, მისი უკანონოდ შეპყრობილი მეუღლე კირილე ციმინტია ზუგდიდის საპყრობილეში დაიღუპა, თვითონ კი, უდანაშაულო ქმრის გამოსარჩლებისათვის ციხეში აღმოჩნდა...

მიუხედავად მძიმე პირობებისა, შვილებიც სახელოვანი გამოზარდა ქალბატონმა ნინამ...

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი, კეთილშობილი და ამაგდარი ადამიანი, მრავალი თაობის ღირსეულად აღმზრდელი ქალბატონი, მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ქალაქის მიწა.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
აკ. ბანტურია.

მეუღლე ტერენტი. შვილები: გულისა, ციური, ლუარა, ჯემალი, ნუნუ, ნაზი. ჯანსუხი გულორდავები, დები: ვალია, ნინა, რძლები: მარინა იზორია, მზია თორდია, ვალია, ეუნა. თალიკო გულორდავები, ლალი ნანავა. მული ნუცა ფარცვანია, მაზლები: ბუხუტი, კლიმენტი. სილიბისტრო გულორდავები. სიძეები: ეორა ბულია, ჯუმბერი ხუბუტია, ზაური ქარდავა, ედვარდი გაბისონია, ევგენი მასლოვსკი, ვაჟა ალფენიძე. მერაბი ჯილანძე, შვილიშვილები: რიმა. გელა გულორდავები, მაია, კახა, მაკა ხუბუტიები, ეკა, ხათუნა, დალი. მირზა ქარდავები. ბესიკი, ელისო გაბისონიები, ალიკა მასლოვსკი, ანგელი, დათო ალფენიძეები. დისშვილები, მამიდაშვილები, მაზლიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

დომნიკა ილარიონის ასულ აჭუბარდია-გულორდავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11 აგვისტოს. დაკრძალვა 13-აგვისტოს. სოფ. ახალაბასთუმანში.

მეუღლე ჭუტა. შვილები: ოთარი, ომარი, ზაზა, ნინო, ელისო. ძმები: ეოდი, დამიანე. დები: ნუცა. ჭაჭუ. რძლები: თალიკო, გული, ნანი, ლალი, სიძეები: ეროდი ქანთარია, თენგიზი ხაფავა. შვილიშვილები: თეონა თამუნა, თეიმურაზი, სალომე, მარიკა, დავითი მარღიები. ძმისშვილები: ოლეგი, სოსო, რუსიკო, ლუიზა მარღიები, ზური ჩანგელია. დისშვილები: რევაზი, ბუთხუზი. ლეილა რაფავები, გურამი. სოსო, ვალერი, ნოე ქანთარიები. ცოლისძმა ეკორი, ცოლისდები: ეენია ქოქუ ფიფიები, ქეისლები: სერიოჟა სამუშია. ოუდა ზარანდია, ბიძაშვილი შალიკო უბილავა. დეიდაშვილები: თამარა ეთერია, ნინა ფირცხელავა. მამიდაშვილები: ოდიკი. ბუეღა შანავები, იუწყებიან

ვლადიმერი (ვალო) ვლადიმერის ძე მარღიას

გარდაცვალებას პანაშვიდი 10 აგვისტოს, დაკრძალვა 11 აგვისტოს სოფ. ლიაში. (წალენჯიხის რაიონი).

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-38-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

ბეჭდვითი სიტყვის საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2 23 07, ტირაჟი 8000 შეკ. № 3229